ღვინის ეროვნული სააგენტო

ანგარიში

2021 წელი

პირველი კვარტალი

შესავალი ..... 2 გვ

ყურძნის ხარისხის კონტროლი..... 2 გვ.

პოპულარიზაცია..... 3 გვ.

ექსპორტი ..... 4 გვ.

ღვინის ხარისხის კონტროლი..... 4 გვ.

ვენახების კადასტრი ..... 5 გვ.

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

შესავალი

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ძირითადი საქმიანობაა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ღვინის ეროვნული სააგენტო შემდეგი მიმართულებებით მუშაობს:

- მევენახეობის განვითარება;
- ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
- რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები;
- ქართული ვაზის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
- ქართული ღვინის ადგილწარმოშობების სისტემის განვითარება;
- ღვინის ლაბორატორიული კვლევა.

2021 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული საქმიანობიდან აღსანიშნავია:

ყურძნის ხარისხის კონტროლი

ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რთველი 2021-ის ფარგლებში, ყურძნის ხარისხის კონტროლი გამკაცრდება. ჩასაბარებელი ყურძნის შაქრიანობა, რომელიც შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაციებითაა დადგენილი, განსაზღვრავს ყურძნის ხარისხს, რაც შემდგომ მის საბაზრო ღირებულებაზეც აისახება. გარდა ამისა, კონტროლი განხორციელდება ადგილწარმოშობის ჯიშების სპეციფიკაციებით განსაზღვრულ მოსავლიანობის ლიმიტზე.

მნიშვნელოვანია, რომ ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებზე ინფორმაცია, დროულად იყოს მიტანილი მევენახე ფერმერებამდე. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებისა და ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ფერმერებთან კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გამართეს.

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

ქართული ღვინის პოპულარიზაცია



მსოფლიო პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებები 2021 წელს გაგრძელდება.

2021 წელს ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებად რჩება: ამერიკის შეერთებული შტატები, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, იაპონია, გერმანია და ბალტიისპირეთის ქვეყნები. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ზემოთ აღნიშნულ ბაზრებზე ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორ ორგანიზაციებთან, გაფორმდა მათთან ხელშეკრულებები, გაიწერა წლის სამოქმედო გეგმა და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები. აღნიშნული მარკეტინგული სტრატეგია ადაპტირებულია ღვინის მსოფლიო ბაზარზე არსებულ გამოწვევებთან: განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ონლაინ გაყიდვების ხელმისაწვდომობაზე, სოციალურ და მედია აქტივობებზე, იმპორტიორებისა და დისტრიბუტორების მხარდაჭერაზე, სარეკლამო კამპანიები გააქტიურდება ციფრულ მედიაში; ამასთან ერთად, ეპიდვითარების დასტაბილურების შემთხვევაში მოეწყობა ღვინის პროფესიონალების ვიზიტები საქართველოში, გაიმართება ქართული ღვინის პირისპირ დეგუსტაცია/სემინარები, კონკურსები, ქართული ღვინო წარდგენილი იქნება საერთაშორისო ფესტივალებზე.

პირველ კვარტლის ღონისძიებებიდან ასევე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის საკითხებზე 30 მარტს გამართული ონლაინ-ფორუმი. მასზე ქართული ღვინის ამერიკაში ექსპორტის ზრდის ტენდენციები და მომავალი ათწლეულის პერსპექტივები განიხილეს. ფორუმში, რომელიც ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოს ინიციატივით გაიმართა, მონაწილეობა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუზლამ დისტანციურად მიიღო. ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის სტრატეგიული ბაზარია. ამერიკის ღვინის ეკონომისტთა ასოციაციის (AAWE) მონაცემებით, 2020 წელს, აშშ-ში ღვინის იმპორტის საერთო მაჩვენებელი, 2019 წელთან შედარებით, 9,4%-ით შემცირდა. ამ პირობებშიც კი, იმპორტირებული ქართული ღვინის ღირებულება, 2020 წელს, 21,4%-ით გაიზარდა და 3.93 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აშშ-ის ბაზარი ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალფასიანი სეგმენტია, სადაც ქართული ღვინის ერთი ლიტრის ფასი 6 აშშ დოლარს აღემატება. ქართული ღვინის ექსპორტი აშშ-ის ბაზარზე, ბოლო 6 წელი, სტაბილურად მზარდია. 2020 წელს, საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ღვინის ექსპორტმა 1 მლნ ბოთლს მიაღწია.

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი

2021 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან მსოფლიოს 52 ქვეყანაში 19 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2%-ით მეტია. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 44 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე 5%-ით ნაკლებია.

ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: ჩინეთი - 29% (959040), ლიეტუვა - 38% (245940 ბოთლი), აშშ - 3% (237ბოთლი878), ესტონეთი - 22% (161956 ბოთლი), იაპონია - 11% (51346 ბოთლი) და დიდი ბრიტანეთ- 2% (117118 ბოთლი). ზრდა აღსანიშნავია ასევე შემდეგ ქვეყნებში: კანადა - 31% (67770 ბოთლი), ყაზახეთი - 57% (793114 ბოთლი), ისრაელი - 56% (131626 ბოთლი), აზერბაიჯანი - 66% (87449ბოთლი), თურქეთი - 115% (30930 ბოთლი) და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 205-მა კომპანიამ განახორციელა.

ამასთან, ექსპორტირებულია 7,4 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 18%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 14 მლნ აშშ დოლარს მიაღწია (ზრდა 9%). ექსპორტირებულია 111 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის კლებამ 18% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 293 ათასი აშშ დოლარს აღწევს (კლება11%).

მთლიანად ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 73 მლნ აშშ დოლარი, რაც 4%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

ქართული ღვინის ხარისხი

საინსპექციო კონტროლი

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლის მიზნით, 2021 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ზედამხედველობა ჩატარდა 7 კომპანიაში, აღებულ ნიმუშებზე მიდის კვლევა. საინსპექციო კონტროლი განხორციელდა 10 კომპანიაში, აქედან ერთ კომპანიას ეთქვა უარი ექსპორტის განხორციელებაზე.

დეგუსტაციები

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, ჩატარდა 56 დეგუსტაცია, შემოვიდა 2263 ნიმუში, 107 შეფასდა უარყოფითად და 2156 შეფასდა დადებითად.

სერტიფიცირება

საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ 2167 განაცხადი. შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია:

VI-1 ფორმის სერტიფიკატი /ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის/ - 1523 ცალი; შესაბამისობის სერტიფიკატი - 1866 ცალი; სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე, ღვინის ეროვნული სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოს მიერ, გაცემულია სულ 3389 სერტიფიკატი.

ვენახების კადასტრის პროგრამა

მიმდინარე წელს იგეგმება ვენახების კადასტრის პროგრამის დასრულება კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში, რაც მნიშვნელოვანია მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების და ხარისხიანი ღვინის წარმოების ხელშეწყობისთვის. საკადასტრო სამუშაოები და ვენახების რეგისტრაცია პირველ კვარტალში კახეთის რეგიონში დაიწყო.

საანგარიშო პერიოდში ასევე მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი 2021 წელს ვენახების ახალი ორთოფოტოების აეროგადაღებისა და ორთორუკების მომზადების მიზნით. სიღნაღის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, ყვარლის, ახმეტის, თელავის, ამბროლაურისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებისათვის საორიენტაციო ფართობით 26000 ჰექტარია. 25 მარტიდან დაიწყო საველე სამუშაოები ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის და ახმეტის მევენახეებისა და ვენახების შესახებ საკადასტრო ინფორმაციის შეკრების მიზნით. ამ მიზნით მომზადდა ოპერატორების პირველი ჯგუფი, რომლებიც განთავსდნენ 12 ლოკაციაზე.

5 თებერვლიდან 15 მარტის ჩათვლით ინფორმაცია ვენახების კადასტრის დაგეგმილი სამუშაოების შესახებ კარდაკარის პრინციპით ეცნობა კახეთის მევენახეობის ზონის ყველა

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

მუნიციპალიტეტის მევენახეს და სოფლის ხელმძღვანელობას, უშუალოდ სოფლებში და მუნიციპალიტეტების გამგეობებში გამართულ შეხვედრებზე.

ღვინის ეროვნულ სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა აქტიურად შუქდება ბეჭდურ, ელექტრონულ, სოციალურ და სატელევიზიო მედიაში (http://wine.gov.ge/, https://www.facebook.com/Wines.of.Georgia/, https://www.facebook.com/nationalwineagency/, https://twitter.com/Georgian_wine, https://www.youtube.com/channel/UC0CPwX08f7-QA329kmicFwQ)

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge